საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 8 23 0000180900

15/02/2023

საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა დამატებითი ტესტირების ჩატარების თარიღის, ადგილის, დროისა და ხანგრძლივობის დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის №118 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 24 თებერვლის N25/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის გამართვის წესის" მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის 2023 წლის 14 თებერვლის N169376 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დადგინდეს საჯარო სკოლის დირექტორობის მსურველთა დამატებითი ტესტირების ჩატარების თარიღი, ადგილი, დრო და ხანგრძლივობა შემდეგი სახით:
ა) ტესტირების ჩატარების თარიღი - 2023 წლის 19 თებერვალი;
ბ) ტესტირების ჩატარების ადგილი - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
გ) ტესტირების დაწყების დრო - 12:00 საათი;
დ) ტესტირების ხანგრძლივობა - 5 საათი. მხედველობის პრობლემის მქონე პირებისათვის, რომლებიც წინასწარ წერილობით აცნობებენ აღნიშნულის თაობაზე სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას და განცხადებას თან დაურთავენ დამადასტურებელ დოკუმენტს - 5 საათი და 30 წუთი.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი